საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

2019 წლის საქმიანობის ანგარიში

საზოგადოებრივი წესრიგისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავების ფარგლებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებულ იქნა შემდეგი ღონისძიებები:

- 2019 წელს სამინისტრომ დაიწყო მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის განვითარების სტრატეგიის და მისი შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესზე მუშაობა. გრძელდება მართლწესრიგის ოფიცრის პროგრამული უზრუნველყოფის დახვეწა/განვითარება;

- კონკურსი ჩატარდა ჯამში მართლწესრიგის ოფიცრის 420 ვაკანტურ პოზიციაზე, განხორციელდა 2 302 აპლიკაციის გადარჩევა, ტესტირებაზე გაიგზავნა 1 819 აპლიკანტი, 726 კანდიდატი ტესტირების ეტაპიდან გადავიდა გასაუბრების ეტაპზე (გასაუბრება გაიარა - 166-მა);

- სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტში დანიშნული მართლწესრიგის ოფიცრების საერთო რაოდენობამ შეადგინა 224 მართლწესრიგის ოფიცერი;

- საქართველოს მასშტაბით ჯამურად ამოქმედებულია 1 605 ნომრის ამომცნობი ე.წ. „ჭკვიანი ვიდეოკამერა“;

- ქვეყნის მასშტაბით 2 220 წერტილზე განხორციელდა ოპტიკურ ბოჭკოვანი ქსელის მოწყობა;

- მოწყობილია 2 200 ზოგადი ხედვის კამერაზე გათვლილი სერვერული ინფრასტრუქტურა;

- შესყიდულია Milstone ვიდეომენეჯმენტის სისტემის 2 200 ლიცენზია, ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემები უზრუნველყოფილია პროგრამული მხარდაჭერის მომსახურებით;

- შესყიდულია ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომრის ამომცნობი პროგრამული უზრუნველყოფის 1 800 ლიცენზია;

- შეძენილ იქნა ვიდეო მენეჯმენტის (Milestone XProtect Corporate 2018 R3) პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები თანმდევი მომსახურებით (ტექნიკური მხარდაჭერა და ტრენინგი) - 1100 ერთეული; ვიდეო მენეჯმენტ პროგრამა მაილსტოუნის ეფექტურად ფუნქციონირებისთვის საჭირო სერვერული ტექნიკა (სერვერული ინფრასტრუქტურა და შემნახველი მასივი) - 7 ერთეული სერვერი, 144 ერთეული მყარი დისკი, 40 ერთეული კაბელი;

- პოლიციის პრევენციული საქმიანობის გაძლიერების მიზნით, საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის საპილოტე პროექტი გავრცელდა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოსა და სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოებზე. ორივე სამმართველოში შეიქმნა შესაბამისი საშტატო ერთეულები და თანამდებობაზე დაინიშნენ სამმართველოს უფროსის მოადგილეები მართლწესრიგის ოფიცრების ხაზით;

- საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის საპილოტე პროექტთან ერთად, დანაშაულის პრევენციული ღონისძიებების გაძლიერების, საზოგადოებრივი წესრიგის და დანაშაულთან ბრძოლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მუშაობა ანალიზზე დაფუძნებულ საპოლიციო საქმიანობაზე: სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის 6

სამმართველოსა და სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის 7 სამმართველოში დაინიშნა 16 ანალიტიკოსი, განისაზღვრა ტერიტორიულ ერთეულებში მომუშავე ანალიტიკოსების საქმიანობის წესი (ფუნქცია-მოვალეობები), გაგრძელდა მუშაობა ანალიტიკურ პროდუქტებზე, მათ შორის, ანალიზზე დაფუძნებული პოლიციის კონცეფციის ფარგლებში, სამინისტროს ყველა შესაძლო წყაროდან შემოსული საინფორმაციო ნაკადების საუკეთესო ევროპული პრაქტიკის მიხედვით მართვისა (მიღება, დამუშავება და რეაგირების შედეგების სტრუქტურირებული აღრიცხვა) და შემდგომი ანალიზის (მათ შორის - თანამშრომელთა საქმიანობის ეფექტიანობის განსაზღვრა და მოტივაციის სისტემის ფორმირება) განსახორციელებლად, დათვლადი ინდიკატორების გამოკვეთა და შესაბამისი სააღრიცხვო მოდულის ჩაშენება, რომელიც არსებული მანუალური პროცესების (ინციდენტების შემსრულებელზე გადაწერა, პატაკების ჩამოწერა და ა.შ.) ავტომატიზირებასა და საგნობრივ-თემატურ სორტირებას განახორციელებს;

- სისტემური განახლების ფარგლებში, სამინისტროს მხრიდან დაიწყო და საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა მუშაობა ერთიანი მართვის სისტემის (E-Police) ინციდენტებზე პირველადი რეაგირების მოდულზე, რომლის მიზანია ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის განხორციელება (ILP), პრევენციული საქმიანობის ეფექტიანობის მატება, ინციდენტებზე რეაგირების ოპერატიულობის მონიტორინგი, დანაყოფების პირადი შემადგენლობის მუშაობის შეფასება. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს შინაგან საქმეთა სამინისტროში ერთიანი მართვის სისტემის (E-Police) დისპეჩერიზაციის კუთხით განვითარება, რაც მოიცავს სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების სამორიგეო/დისპეჩერიზაციის სამსახურების საოპერაციო პროცესების ოპტიმიზაციას;

- საანგარიშო პერიოდში განახლდა ინტერაქტიული რუკის (maps.pol.ge) განვითარების პროცესი;

- სამინისტროში განხორციელდა საგზაო უსაფრთხოების კამპანია „მეტი სიცოცხლისთვის“, რაც გულისხმობს ამოტრიალებული მანქანების კონსტრუქციების დამონტაჟებას, სხვადასხვა ვიდეორგოლების დამზადებას, რეკლამის განთავსებას რეიტინგულ ტელეარხებზე, სოციალურ ქსელში ვიდეო, გრაფიკული რგოლების, საგზაო უსაფრთხოების თემატიკაზე შექმნილი ბანერების და პოსტების განთავსებას, აუდიო რეკლამების განთავსებას რადიოებში, ასევე კამპანიის ფარგლებში ამოქმედდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო არხი-ვებგვერდი www.formorlife.ge, რომლის მეშვეობით ხდება საზოგადოების ინფორმირება კამპანიასთან დაკავშირებული სიახლეებისა და სამინისტროს მიერ საგზაო უსაფრთხოების კუთხით გატარებული რეფორმების შესახებ;

- სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სპეციალურად გადამზადებულმა თანამშრომლებმა დაიწყეს საგზაო უსაფრთხოების გაკვეთილების ჩატარება თბილისისა და რეგიონების სკოლებში. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 4 გაკვეთილი (3 გაკვეთილი თბილისში და ერთი გაკვეთილი დაბა ფასანაურში) საჯარო სკოლების დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის;

- კამპანიის „მეტი სიცოცხლისთვის“ ფარგლებში სამინისტრომ ბავშვთა დაცვის დღეს მოზარდებს ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე უმასპინძლა. ღონისძიება მიზნად ისახავდა ბავშვთა ცნობიერების ამაღლებას საგზაო უსაფრთხოების საკითხებზე;

- სამინისტროს „სისტემური განახლების“ ფარგლებში გატარებული კრიმინალური პოლიციის რეფორმის შედეგის შესახებ საზოგადოების ინფორმირების, მათი ცნობიერებისა და ნდობის ამაღლების მიზნით, სამინისტრომ შეიძინა **Investigation Discovery-ის** ოფიციალური ლიცენზია და შეიქმნა ფართო საზოგადოებაზე გათვლილი კრიმინალური დოკუმენტალური ტელეგადაცემა „პოლიციის ფაილები“. საანგარიშო პერიოდში მოხდა 13 სერიის გადაღება. სერიები განთავსდა „ტელეიმედის“ ეთერში, სამინისტროს ოფიციალურ „Facebook“ გვერდზე და სამინისტროს „Youtube“ არხზე.

- პოლიციასა და მოსახლეობას შორის ნდობის გამყარების მიზნით, განხორციელდა სოციალური აქტივობა, მართლწესრიგის ოფიცრებმა ჩაატარეს გაცნობითი შეხვედრები სამინისტროს ქ.თბილისის

ვაკე-საბურთალოსა და ძველი თბილისის ტერიტორიაზე მდებარე 48 საჯარო სკოლაში, შემუშავდა შეხვედრების ჩასატარებლად არასრულწლოვნებზე მორგებული თემატური პრეზენტაციები. გრძელდება ორგანიზაცია საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის (GCSD) პროექტი „საზოგადოებასა და პოლიციას შორის ნდობის ამაღლება", რომელშიც აქტიურად არიან ჩართულები მართლწესრიგის ოფიცრები და საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობაში ჩართული სამინისტროს სხვა თანამშრომლები. პროექტის მხარდაჭერით, ჩატარდა შეხვედრები ქ. თბილისის 7 უმაღლეს სასწავლებელსა და სამინისტროს ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის 11 საჯარო სკოლაში (27 სკოლიდან). პროექტის ფარგლებში დაიწყო მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის კომუნიკაციის სტრატეგიაზე მუშაობა;

- 2019 წლის 12 მაისს მართლწესრიგის ოფიცრებმა მონაწილეობა მიიღეს მასშტაბურ ახალგაზრდულ ფორუმში „YouthSpeak Forum'19" (გაეროსა და ახალგაზრდული ორგანიზაცია "AIESEC"-ის ერთობლივი პროექტი). ფორუმის ფარგლებში და შემდეგ განხორციელდა შემდეგი აქტივობები: მართლწესრიგის ოფიცრების საქმიანობის შესახებ სემინარი, გაცნობითი ვიზიტები საჯარო სამართლის იურიდიულ პირი -„112"-სა და სამინისტროს საექსპერტო–კრიმინალისტიკურ დეპარტამენტში, რომლებშიც მონაწილეობა 20 ახალგაზრდამ მიიღო, 8 მართლწესრიგის ოფიცრისა და 22 დელეგატის მონაწილეობით ერთობლივი პროექტის/პრეზენტაციის შემუშავება და გაკვეთილები გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებზე ქ. თბილისის 4 საჯარო სკოლაში;

- საზოგადოების ინფორმირების მიზნით, აქტიურად მიმდინარეობდა საინფორმაციო კამპანია კრიმინალთან ბრძოლის მიმართულებით, რაც გულისხმობს ინფორმაციის გავრცელებას სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით (საინფორმაციო სააგენტოები, ტელევიზია, რადიო, სოციალური ქსელი და ა.შ.);

- საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და ინფორმაციის მიწოდების მიზნით, საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა საინფორმაციო მასალების (ვიდეომასალა, ბრიფინგები) მომზადება და გავრცელება ტელევიზიის, ონლაინ საინფორმაციო სააგენტოების, სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდისა და სოციალური ქსელის საშუალებით;

- დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

  - შედგა საქართველოს ვიცე–პრემიერის, შინაგან საქმეთა მინისტრის ვიზიტი კატარის სახელმწიფოში. გაიმართა შეხვედრა კატარის პრემიერთან, შინაგან საქმეთა მინისტრთან. ხელი მოეწერა მხარეებს შორის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის შესახებ განზრახვის წერილს;

  - ქ. კიევში (უკრაინა) გაიმართა კიბერუსაფრთხოების შესახებ სუამ–ის სამუშაო ჯგუფის რიგით მე–8 სხდომა, რომელშიც სამინისტროდან მონაწილეობა მიიღეს სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა. მხარეებმა განიხილეს „დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის – სუამ–ის წევრ სახელმწიფოთა შორის კიბერუსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შესახებ" მემორანდუმის პროექტი და საბოლოოდ შეაჯერეს მისი ტექსტი;

  - შედგა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის წარმომადგენლების ვიზიტი ქ. დუბაიში. სამინისტროს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. დუბაიში სპეცდანიშნულების რაზმებს შორის საერთაშორისო ტურნირში და საერთო ჩათვლაში დაიკავეს მე–6 საპატიო ადგილი;

- შედგა სამინისტროს დელეგაციის ვიზიტი ისრაელის სახელმწიფოში. გაიმართა ერთობლივი სამუშაო ჯგუფის II შეხვედრა, რომლის მიზანს წარმოადგენდა ისრაელის საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროსთან საუკეთესო გამოცდილების გაზიარება ორგანიზებულ დანაშაულთან, არალეგალურ მიგრაციასთან, დოკუმენტების უსაფრთხოებასთან, კიბერდანაშაულთან ბრძოლის, ასევე, საზღვრის მართვისა და ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის პატრულირების სფეროში;

- შედგა ფინეთის რესპუბლიკის ეროვნული პოლიციის დელეგაციის ვიზიტი. გაიმართა შეხვედრები სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტისა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელ პირებთან და წარმომადგენლებთან;

- ქ. პეკინში (ჩინეთი) გაიმართა ოფიციალური მოლაპარაკებები ქართულ და ჩინურ მხარეებს შორის „საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის მგზავრებისა და ტვირთების საერთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტირების შესახებ“ შეთანხმებაზე. მოლაპარაკებებში მონაწილეობა მიიღო სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის წარმომადგენელმა. მხარეებმა საბოლოოდ შეაჯერეს შეთანხმების ტექსტი;

- შედგა მონტენეგროს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს უწყებათაშორისი დელეგაციის ვიზიტი. ვიზიტის მთავარ მიზანს წარმოადგენდა მხარეებს შორის რეადმისიის შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების გამართვა. მხარეებმა შეათანხმეს პროექტი და გამოხატეს მზადყოფნა მის ხელმოსაწერად აუცილებელი შესაბამისი პროცედურების უახლოეს მომავალში დასრულებაზე;

- წარიგზავნა პოლიციის ატაშე ჩეხეთსა და ბელგიაში;

- ქ. ნურ–სულთანში (ყაზახეთის რესპუბლიკა) გაიმართა საქართველო–ყაზახეთის რესპუბლიკის ეკონომიკური თანამშრომლობის სამთავრობოთაშორისი კომისიის მეათე სხდომა. სხდომის ფარგლებში მხარეებს შორის ასევე განხილული იყო რეადმისიის შესახებ შეთანხმებისა და მიგრაციის შესახებ შეთანხმების პროექტები. აღნიშნულ სხდომაში მონაწილეობა მიიღო სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის წარმომადგენელმაც;

- გაიმართა შინაგან საქმეთა მინისტრისა და საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის შეხვედრა ქ. თბილისში. ხელი მოეწერა „ოპერატიული საპოლიციო თანამშრომლობის გაძლიერებისა და საფრანგეთში მივლენილი ქართველი პოლიციელების მიღების შესახებ“ ადმინისტრაციულ შეთანხმებას;

- შედგა გაერთიანებული სამეფოს დანაშაულთან ბრძოლის სააგენტოს (NCA) დელეგაციის ვიზიტი სამინისტროში. შეხვედრები გაიმართა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის, სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტისა და სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელ პირებთან;

- შედგა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის წარმომადგენელთა ვიზიტი ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. გაიმართა შეხვედრები ირანის ეროვნული პოლიციისა და ანტინარკოტიკული პოლიციის ხელმძღვანელობასთან;

- გაიმართა შინაგან საქმეთა მინისტრის და პოლონეთის რესპუბლიკის ეროვნული პოლიციის უფროსის შეხვედრა ქ. თბილისში. განხილულ იქნა საქართველოსა და პოლონეთს შორის სამართალდაცვით სფეროში არსებული თანამშრომლობის მიღწევები და სამომავლო გეგმები;

- შედგა გერმანიის ჰესენის ფედერალური მიწის შინაგან საქმეთა და სპორტის მინისტრის ვიზიტი სამინისტროში. გაიმართა შეხვედრა შინაგან საქმეთა მინისტრთან;

- ხელმოწერილი ადმინისტრაციული შეთანხმებისა და საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე საფრანგეთში წარიგზავნა სამინისტროს 3 თანამშრომელი;

- შედგა შვეიცარიის კონფედერაციის მიგრაციის სახელმწიფო მდივნის ვიზიტი სამინისტროში. გაიმართა შეხვედრა შინაგან საქმეთა მინისტრთან. ხელი მოეწერა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შვეიცარიის პოლიციისა და იუსტიციის ფედერალურ დეპარტამენტს შორის მიგრაციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ ერთობლივ განცხადებას;

- გაიმართა შინაგან საქმეთა მინისტრისა და საფრანგეთის თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების გენერალური მდივნის მოადგილეს შეხვედრა ქ. თბილისში. განხილულ იქნა კიბერსივრცესა და შავი ზღვის აუზში უსაფრთხოების კუთხით არსებული გამოწვევები და საფრთხეები;

- გაფორმდა აღმოსავლეთ პარტნიორობის 10 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კონფერენციის „საქართველოს ევროპული გზა“ ფარგლებში სამი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულება: შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და უნგრეთის მთავრობას შორის საგანგებო სიტუაციების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“, შეთანხმება „საქართველოსა და ჩეხეთის რესპუბლიკას შორის დანაშაულთან ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ”, ოქმი „საქართველოს მთავრობასა და ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციის თაობაზე“. საქართველოს მხრიდან ხელმომწერი პირი – საგარეო საქმეთა მინისტრი;

- აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საქართველოს სამთავრობო დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში აზერბაიჯანს ეწვია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი. შედგა შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც მხარეებმა განიხილეს ორი ქვეყნის სამართალდამცავ უწყებებს შორის ნაყოფიერი თანამშრომლობა და საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში არსებული მიღწევები;

- შედგა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ვიზიტი საფრანგეთის რესპუბლიკაში. გაიმართა შეხვედრა შინაგან საქმეთა მინისტრთან. შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა ისაუბრეს სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის შემდგომ გაძლიერებასა და ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის გამოწვევების საპასუხოდ ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვაზე;

- საფრანგეთში, ქ. პარიზში, ამილახვრის დიალოგის ფარგლებში გამართულ შიდა უსაფრთხოებისა და მიგრაციის სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს სამინისტროს თანამდებობის პირებმა;

- აშშ ქ. ვაშინგტონში, საქართველო–აშშ სტრატეგიული პარტნიორობის კომისიის ფარგლებში გამართულ უსაფრთხოების სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორმა.

- სამედიცინო პუნქტები გაიხსნა მარნეულის, ქობულეთის, სამტრედიის და წალკის დროებითი მოთავსების იზოლატორებში, სადაც ჯამში დასაქმდა 6 (ექვსი) ექიმი;

- ბაღდათის, ლანჩხუთის, სიღნაღის, სენაკისა და ჭიათურის დროებითი მოთავსების იზოლატორში განხორციელდა სამედიცინო პუნქტების კეთილმოწყობა.

- დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული სამედიცინო პუნქტები აღიჭურვა კომპიუტერული ტექნიკითა და ავეჯით. საჭირო ინვენტარი დამატებით გადაეცათ დროებითი მოთავსების იზოლატორებსაც.

- სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში განთავსებულ მიგრანტებს საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში 22-ჯერ გაეწიათ სამედიცინო მომსახურება; ასევე, განხორციელდა განთავსებისა და თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრების უზრუნველყოფა სხვადასხვა დასახელების მედიკამენტებით;

- განხორციელდა 104 უცხოელის მათი წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნება, მათ შორის სამინისტროს მიერ, კანონმდებლობის შესაბამისად, 6 უცხოელისთვის განხორციელდა სამგზავრო ავიაბილეთების შეძენა, მათი წარმოშობის ქვეყანაში იძულებით დაბრუნების მიზნით;

- შეძენილ იქნა და დამონტაჟდა ვიდეოსამეთვალყურეო სისტემები პოლიციის განყოფილებებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში;

- სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტისთვის შეძენილ იქნა „დნმ“ ექსპერტიზის დანერგვისთვის საჭირო ლაბორატორიული ტექნიკა (ინსტალაციით) და აღჭურვილობა, ასევე, სხვადასხვა სახარჯი მასალები და ტრენინგის მომსახურება;

- შეძენილ იქნა პორტატული ნარკოტესტერები, ნარკოტესტერების შესანახი სპეციალური ყუთები და სპეციალური საბეჭდი ხელსაწყოები;

- შეძენილ იქნა სტანდარტული პერსონალური კომპიუტერების 700 კომპლექტი (სისტემური ბლოკები, მონიტორები, კლავიატურები, მაუსები);

- ახალი და არსებული შენობებისთვის შეძენილ იქნა საოფისე ინვენტარი და სხვა ავეჯი;

- შეძენილ იქნა უწყვეტი კვების წყაროები ვიდეოსამეთვალყურეო სისტემებისთვის;

- შეძენილ იქნა 380 ერთეული სატრანსპორტო საშუალება ოპერატიული დანიშნულების (მათ შორის საპატრულო ეკიპაჟებისთვის - 100 ერთეული და სხვა ოპერატიული დანაყოფებისათვის - 280 ერთეული) დანაყოფებისთვის.

- დასრულდა სარემონტო სამუშაოები ფოთის, ქობულეთის, სამტრედიის, ლაჩხუთის, სენაკის, ბაღდათის, ჭიათურისა და სიღნაღის დროებითი მოთავსების იზოლატორებში;

- დასრულდა ქ. თბილისში, გულუას ქ. №6 მდებარე, სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში მე-5 სართულის სარემონტო სამუშაოები;

- დასრულდა ქ. თბილისში გულუას ქ. №6 მდებარე, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის ფასადის შეფუთვის სამუშაოები;

- დასრულდა ქ. თბილისში გულუას ქ. №6 მდებარე, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები;

- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და გრძელდება ახმეტის მუნიციპალიტეტში, სოფელ ძიბახევში მდებარე, სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოები;
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და გრძელდება გურჯაანში, ნონეშვილის გამზირი №6 მდებარე სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის, სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორის შენობის, ძაღლების ვოლიერის შენობის, დამხმარე შენობა-ნაგებობის მშენებლობის და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;
- დასრულდა ბოლნისში, აღმაშენებლის ქუჩა №62 მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებით სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამინისტროს პოლიციის ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოები;
- დასრულდა დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჟინვალში მდებარე, სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს, დუშეთის რაიონული სამმართველოს, ჟინვალის პოლიციის განყოფილების შენობის სამშენებლო სამუშაოები;
- დასრულდა ქ. თბილისში გმირი კურსანტების ქუჩა, შესახვევი II, №2 ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები, ქ. თბილისში, ქერჩის ქ. №6 მდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობისა და აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსებული შენობის დემონტაჟის სამუშაოები;
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და გრძელდება ქ. თბილისში, ავჭალის ქუჩა №17-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორისთვის დამხმარე შენობა-ნაგებობის სამშენებლო სამუშაოები;
- დასრულდა სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ქ. თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩის შესახვევი II, №2 სასროლეთის (ტირი) შენობის მშენებლობისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და გრძელდება ქ. თბილისში ქერჩის ქ. №6 მდებარე მიწის ნაკვეთზე სამინისტროს თანამშრომელთათვის ორი თერთმეტსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სამშენებლო სამუშაოები;
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და გრძელდება ქ. რუსთავში, XX მიკრო/რაიონს, XXI მიკრო/რაიონსა და ლეონიძის ქუჩას შორის მიმდებარედ, სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამინისტროს თანამშრომელთათვის ორი თერთმეტსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სამშენებლო სამუშაოები;
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და გრძელდება ქ. ბათუმში, ადლიას ქ. №112 მდებარე მიწის ნაკვეთზე სამინისტროს თანამშრომელთათვის ორი თერთმეტსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სამშენებლო სამუშაოები;
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და გრძელდება ზუგდიდში ბენდელიანის ქ. №35 მდებარე სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე სამინისტროს თანამშრომელთათვის ორი თერთმეტსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა;
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და გრძელდება ქ. ქუთაისში ნიკეას ქ. №19 (ნაკვეთი №1-1) მდებარე, სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, სამინისტროს თანამშრომელთათვის ორი თერთმეტსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა;
- დასრულდა ქ. თბილისში, ავჭალის ქ. №17 მდებარე მიწის ნაკვეთის სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორის მშენებლობისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;
- დასრულდა ქ. თბილისში, გულუას ქ. №8 სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართულზე სარემონტო სამუშაოები;
- დასრულდა ქ. ბათუმში, აბუსერიძის ქ. №11 მდებარე სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის შენობის სარემონტო სამუშაოები, ქ. ბათუმში, აბუსერიძის ქ.

№11 მდებარე სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტისთვის ნივთმტკიცების ოთახის მოწყობის სამუშაოები;

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა გარდაბნის რაიონის სოფ. მარტყოფში მდებარე მიგრაციის დეპარტამენტის მიმღები ცენტრის პირველი კოსპუსის სარემონტო სამუშაოები, კერძოდ გარემონტდა 60 პირზე გათვლილი 23 საძინებელი ოთახი, 3 სამზარეულო, 3 აბაზანა, 3 საპირფარეშო, სპორტული მოედანი, ინტერნეტის 1 ოთახი, დაცვის ოთახი, საბავშვო ოთახი და 3 საერთო სივრცე; განხორციელდა მიმღები ცენტრის გარე განათების რემონტი;
- დასრულდა ქ. თბილისში, გულუას ქუჩა №10 მდებარე, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის მე-2, მე-3 და მე-4 სართულებზე სველი წერტილების სარემონტო და გარე კანალიზაციის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- დასრულდა ქ. ფოთში, მშვიდობის ქ. №6 მდებარე, სამინისტროს სამეგრელო–ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქ. ფოთის საქალაქო სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოების და სამტრედიაში, რუსთაველის ქ. №29 მდებარე, სამინისტროს იმერეთის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორის, სამტრედიის დროებითი მოთავსების იზოლატორის სარემონტო სამუშაოები;
- დასრულდა ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილი მე-13-ე კმ. №87 მდებარე შენობებში სარემონტო სამუშაოები;
- დასრულდა ქ. თბილისში, გახოკიძის ქ. №16 მდებარე, სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართულზე (A ბლოკი) სააბაზანოსა და საპირფარეშოების საკანალიზაციო სისტემის სარემონტო სამუშაოები;
- დასრულდა გორის რაიონის სოფელ ნიქოზში მდებარე მიწის ნაკვეთზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული მებრძოლების მემორიალის მშენებლობის და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და გრძელდება ქ. რუსთავში, XII მ/რაიონის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე სამინისტროს ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის დასრულების, სარემონტო და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;
- დასრულდა ქ. თბილისში ქიზიყის ქუჩა №5 მდებარე სამინისტროს სასაწყობე მეურნეობის ტერიტორიაზე ახალი სასაწყობე შენობის სამშენებლო სამუშაოები;
- დასრულდა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ურეხში მ. ვარშალიძის №173 მდებარე, სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის, ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს ურეხის პოლიციის განყოფილების, ქობულეთში, რუსთაველის №168 მდებარე შენობაში, სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის, აჭარისა და გურიის რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორისა და ხელვაჩაურის რაიონის სოფელ გონიოში მდებარე, სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის, ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს გონიოს პოლიციის განყოფილების სარემონტო სამუშაოები;
- 2019 წელს დაიწყო და მიმდინარეობს ზუგდიდის რ/ნ სოფ. ანაკლიაში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო და წყალზე სამაშველო შენობების სამშენებლო სამუშაოები;
- 2019 წელს დაიწყო და მიმდინარეობს მარტვილში მდებარე მიწის ნაკვეთზე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო შენობის სამშენებლო სამუშაოები;
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და გრძელდება ჩხოროწყუში, სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო შენობის, სავარჯიშო კოშკურის სამშენებლო და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და გრძელდება ახმეტის რაიონის სოფელ ომალოში მდებარე, სამინისტროს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოები;

- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და გრძელდება ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვაჩიანში მდებარე მიწის ნაკვეთზე სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოები;
- დასრულდა ლანჩხუთში, ჟორდანიას ქ. №124 ა მდებარე სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები;
- მიმდინარეობს ახალქალაქში, დავით აღმაშენებლის ქუჩა №5/1 და №5 მდებარე სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა №06/2 სარემონტო სამუშაოები;
- დასრულდა ქ. თბილისში გულუას ქუჩა №10 მდებარე, სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში არსებული სასადილოს სარემონტო სამუშაოები;
- დასრულდა ქ. რუსთავში, მშენებელთა ქ. №21 მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის №02/1 სარემონტო სამუშაოები;
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და გრძელდება სიღნაღში, ბარათაშვილის ქუჩა №1 ა, ბაღდათის მუნიციპალიტეტში კახიანის ქუჩა №14, ჭიათურის მუნიციპალიტეტში, გ. აბაშიძის ქუჩა №14, სენაკში ტაბიძის ქუჩა №1, ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩა №124 ა, ოზურგეთში, ი. ჭავჭავაძის ქუჩა №3 მდებარე სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების სარემონტო სამუშაოებისა და ოზურგეთში ი. ჭავჭავაძის ქუჩა №3 მდებარე, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის მიშენების სამუშაოები;
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და გრძელდება დაბა აბასთუმანში, რუსთაველის ქ. №30 მიმდებარედ განთავსებულ მიწის ნაკვეთზე სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო შენობის სამშენებლო სამუშაოები;
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და გრძელდება წალენჯიხაში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო შენობის სამშენებლო, სავარჯიშო კომკურის სამშენებლო და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და გრძელდება ქ. თბილისში გულუას ქ. №10-ში მდებარე, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის მე-4 სართულზე სარემონტო სამუშაოები;
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და გრძელდება ქ. ფოთში მშვიდობის ქ. №8-ში განთავსებული სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- გაძლიერებულია დანაშაულის პრევენციული ღონისძიებები;
- გაუმჯობესებულია საზოგადოებრივი წესრიგის და დანაშაულთან ბრძოლის ხარისხი;
- გაუმჯობესებულია სამართალწარმოების პროცესში, ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიები;
- საგზაო უსაფრთხოების დონის ამაღლების მიზნით განხორციელებულია საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებები;
- გაფორმებული ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე პარტნიორ ქვეყნებთან ერთად ერთობლივი პროგრამების ფარგლებში ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიებები;
- დროებითი მოთავსების იზოლატორების სრულყოფილი ფუნქციონირების მიზნით განხორციელებულია შენობების სარემონტო სამუშაოები და გახსნილია დამატებითი სამედიცინო პუნქტები;
- საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელების განსათავსებლად - დროებითი განთავსების ცენტრის სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის რეაბილიტირებულია შესაბამისი ინფრასტრუქტურა;
- განახლებულია სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- რეაბილიტირებულია სამინისტროს ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობები;
- აშენებულია პოლიციის ახალი შენობები;

- განახლებულია ავტოპარკი.

სახელმწიფო საზღვრის დაცვის ფარგლებში სამინისტროს სსდ - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მიერ განხორციელებული ღონისძიებები:

- სამინისტროს სსდ - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო პოლიციის სამმართველოების მიერ სახელმწიფო საზღვარზე გამოვლენილი და აღკვეთილი იქნა შემდეგი კანონსაწინააღმდეგო ქმედებები: კონტრაბანდის - 3 ფაქტი დაკავებულია - 2 პირი, ნარკოდანაშაულის 1 ფაქტი, უკანონო თევზჭერის 1 ფაქტი, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების 1 ფაქტი, ქრთამის მიცემის 1 ფაქტი, ყალბი დოკუმენტებით საზღვრის გადაკვეთის 11 ფაქტი, დაკავებულია 8 პირი, საზღვრის უკანონო გადაკვეთაში დახმარების და მიგრანტის საზღვარზე გადაყვანის მცდელობის 4 ფაქტი, დაკავებულია 5 პირი, ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლის წესების დარღვევის 2 ფაქტი;
- სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის 195 ფაქტზე დაკავებულია 170 პირი, ხოლო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის 31 ფაქტზე დაკავებულია 38 პირი;
- სასაზღვრო ზონასა და ზოლში გამოვლენილია სასაზღვრო წესების დარღვევის 460 ფაქტი;
- სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის დანაყოფების მიერ საზღვაო სივრცეში გამოვლინდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 355 ფაქტი. საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოღებული თანხის ოდენობამ შეადგინა დაახლოებით 1 160 000 ლარი;
- საანგარიშო პერიოდში სასაზღვრო პოლიციის დანაყოფებმა მონაწილეობა მიიღეს 56 სამაშველო ოპერაციაში (საზღვაო სივრცეში - 54, ხმელეთზე -2);
- ავიაციის მთავარმა სამმართველომ შეასრულა 242 დავალება, ფრენის დრომ შეადგინა 765 საათი და 40 წუთი;
- სანაპირო დაცვის დეპარტამენტის მცურავი საშუალებების ზღვაში ყოფნის საერთო დრომ შეადგინა – 21 511 საათი და 40 წუთი;
- სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ოპერაციების მართვის მთავარი სამმართველოს I და II სამმართველოების სანაპირო დაცვის სადგურების მიერ გაცილებულ იქნა ტერიტორიულ წყლებსა და მიმდებარე ზონაში გადაადგილებული - 6 915 მცურავი საშუალება, შემოწმდა- 439 არასამხედრო გემი. საქართველოს საზღვაო სივრცის აფხაზეთის ოკუპირებულ მონაკვეთზე გამოვლენილ იქნა „ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლის წესების“ დარღვევის 99 ფაქტი;
- ჩატარდა საავარიო - სამძებრო სამაშველო ოპერაციები;
- სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეებმა საანგარიშო პერიოდში გაიარეს სასწავლო კურსები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- მოდერნიზებული სწრაფმავალი კატარღების, საფრენი აპარატების, მაღალი გამავლობის მანქანების და თანამედროვე ტექნიკის გამოყენებით გაკონტროლებული და დაცული სახელმწიფო სახმელეთო და საზღვაო საზღვარი;
- განვითარებულია საზღვრის მართვის, კონტროლის, დაკვირვებისა და ინფორმაციის გაცვლის ტექნოლოგიები და ვიდეომეთვალყურების სისტემა;
- რეაბილიტირებულია სასაზღვრო პოლიციის ბალანსზე რიცხული ინფრასტრუქტურა;
- განვითარებულია საზღვაო და საჰაერო ფლოტის შესაძლებლობები;
- რეაბილიტირებულია სასაზღვრო პოლიციის ბალანსზე რიცხული ტექნიკა.

ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათი ქონების), დიპლომატიური წარმომადგენლობების, ეროვნული საგანძურის დაცვისა და უსაფრთხოების დონის ამაღლების ფარგლებში სამინისტროს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი მიერ განხორციელებული ღონისძიებები:

- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა დიპლომატიური მისიების და მათი ხელმძღვანელების რეზიდენციების, ეროვნული საგანძურისა და სხვადასხვა ობიექტების დაცვითი მომსახურებით უზრუნველყოფა;

- საანგარიშო პერიოდში ობიექტებზე შექმნილი სიტუაციებიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევებში ხდებოდა ოპერატიული რეაგირების ჯგუფების გასვლა, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 196 580 გასვლა;

- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, არაგაბარიტული და სახიფათო მოძრავი ტვირთების დაცვა-გაცილება, ასევე, ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა (ინკასაცია);

- განხორციელდა 2019 წლის 1 იანვრიდან დეპარტამენტის 5101 თანამშრომელზე (პირველ ეტაპზე მოწყვლადი ჯგუფებისათვის) შრომის ანაზღაურების ზრდა, თითოეულ თანამშრომელზე 125 ლარით (დარიცხული), რაც თვეში საშუალოდ 638,0 ათასი ლარია, ხოლო წელიწადში შეადგენს 7 656,0 ათას ლარს. ასევე 2019 წლის 01 მაისიდან მომატებულია დარიცხული ხელფასი ინკასაციისა და მოძრავი ტვირთებისა და ფიზიკურ პირთა დაცვის სამმართველოების 400 თანამშრომელზე, თითოეულზე - 125 ლარით (დარიცხული), რაც თვეში საშუალოდ 55,0 ათასი ლარია, ხოლო წელიწადში შეადგენს 440,0 ათას ლარს;

- 2019 წლის თებერვლიდან, განხორციელდა საბუღალტრო პროგრამის პროგრამულ-საკონსულტაციო უზრუნველყოფის მომსახურება, არსებულ საბილინგო პროგრამაში მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის მოდულის დამატება. მოდული უზრუნველყოფს ბილინგის სისტემაში რეგისტრირებული მომხმარებლების, საკონტაქტო ინფორმაციის მიხედვით შეტყობინების გაგზავნას პერიოდულად და ინდივიდუალურად, ავტომატურად ხორციელდება ბილინგში ასახული შედეგების შეტყობინება, პროგრამიდან ინფორმაციის გაგზავნა იდენტიფიცირებულ მომხმარებლებთან დავალიანების და სხვა ოპერაციების შესახებ, შეტყობინების მოდული მობილურ ოპერატორთან დაკავშირება სერვერების საშუალებით;

- 2019 წლის აგვისტოდან განხორციელდა ერთიანი სერვის ცენტრის პროგრამული უზრუნველყოფა „Security Front Desc“-ით, ელექტრონული სისტემით შესაძლებელი გახდა: დეპარტამენტში მიღებული განცხადებების რეგისტრაცია; წინასწარ განსაზღვრული შაბლონების შესაბამისად დოკუმენტის მომზადება და მოძრაობა დოკუმენტბრუნვის სისტემაში eflow, ასევე დოკუმენტბრუნვის სისტემიდან eflow შედეგების ავტომატური

ასახვა; ახალი ტიპის განცხადებებისათვის შაბლონების შექმნა; პროცესების ორგანიზებისათვის საბეჭდი ფორმების, რეპორტებისა და საექსპორტო ცხრილების მომზადება.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- გამართულია დაცვითი მომსახურება;
- თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით განახლებულია ცენტრალური დაკვირვების პულტის მოძველებული ტექნიკური საშუალებები;
- განახლებულია ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა-ინკასირებისთვის საჭირო დაჯავშნილი სატრანსპორტო საშუალებების ავტოპარკი;
- გარემონტებულია დეპარტამენტის ბალანსზე არსებული შენობების 3%.

სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლების, მატერიალური რეზერვების შექმნისა და მართვის ფარგლებში სამინისტროს - სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისა და სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები:

- დაახლოებით 53 000 ბუნებრივ, ტექნოგენურ და სხვა საგანგებო სიტუაციაზე განხორციელდა შესაბამისი რეაგირება, მათ შორის იყო ხანძრები/აფეთქებები/აფეთქების საფრთხეები, ავარიები ქიმიურად საშიში ნივთიერებების გაჟონვით ან გაჟონვის საშიშროებით, ავარიები ელექტრო-ენერგეტიკულ სისტემებში, შენობების/ნაგებობების/ქანების მოულოდნელი ჩამოქცევა, სახიფათო გეოფიზიკური და გეოლოგიური მოვლენები, სამთო და წყალზე სამაშველო ღონისძიებები და სხვა;
- სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობას დაქვემდებარებული ობიექტების გეგმიური სახანძრო-ტექნიკური შემოწმების ჩატარების მიზნით, დამტკიცდა სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ობიექტების ნუსხისა და ამ ობიექტების შემოწმების 2019 წლის გეგმა რეგიონების მიხედვით;
- ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების შემოწმება, სამშენებლო პროექტების განხილვა და მშენებლობის შესაბამისი ნებართვების, შენიშვნებისა და რეკომენდაციების გაცემა. კერძოდ: განხორციელდა ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის დაახლოებით 3 000 ობიექტის შემოწმება;
- ამოქმედდა ცხელი ხაზი, სახანძრო უსაფრთხოების მიმართულებით;
- დასრულდა მუშაობა ინციდენტების აღრიცხვისა და ოპერაციების მართვის ელექტრონულ სისტემაზე (eFris), რომელიც საპილოტე რეჟიმში ჩაირთო სახანძრო-სამაშველო ძალების ოპერატიული მართვის სამმართველოსა და თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოში შემავალ 3 განყოფილებაში. სისტემის მომხმარებელთა (დისპეტჩერების) მიერ საანგარიშო პერიოდში წარმოებდა სისტემის ტესტირება და შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები. ასევე, პარალელურად აღმოიფხვრა გამოვლენილი ხარვეზები და უზუსტობები;
- ინტერაქტიული რუკის (maps.es.gov.ge) ფუნქციონალური და ინფორმაციული განვითარების მიზნით, რუკაზე დატანილი იქნა ინფორმაცია თბილისში, იმერეთსა და გურიაში არსებული ჰიდრანტების

შესახებ, ასევე საქართველოს მასშტაბით სახანძრო სამაშველო განყოფილებებისა და სკოლების შესახებ. საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა 40-მდე სახანძრო მანქანის ონლაინ თრექინგი (ემატება ეტაპობრივად), დამატებულია ახალი ფუნქცია, რითაც შესაძლებელია მარშრუტის შედგენა ორ წერტილს შორის. საანგარიშო პერიოდში დაიწყო და გრძელდება ტექნიკური სამუშაოები ბუნებრივი საფრთხეების შრეების ინტეგრაციის მიზნით;

- სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ელექტრონული სისტემის (eFss) ჩამოყალიბებისთვის დაპროექტდა მონაცემთა ბაზის არქიტექტურა, შეიქმნა შესაბამისი ცხრილები, რელაციები და სხვა საჭირო ობიექტები. შემუშავდა სერვისების, აპლიკაციის ბიზნეს ლოგიკისა და მომხმარებლის ინტერფეისი. სამსახურის ზედამხედველობის თანამშრომლებს eFss-ის გამოყენებასთან დაკავშირებით ჩაუტარდათ შესაბამისი ტრენინგები, ასევე, საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობს სისტემის პილოტირება;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების მიერ გამოყენებულ ბაზებში ინფორმაციის მიმოცვლისა და მუდმივი განახლების მიზნით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში შემუშავდა სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურსა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის პროექტი;
- შემუშავდა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მოხალისეობის განვითარების კონცეფცია. მოხალისეობის მსურველთა რეგისტრაციის მიზნით, შეიქმნა შესაბამისი პორტალი Volunteers.ge და განისაზღვრა რეგისტრაციის ფორმა. აღნიშნული ფორმის მეშვეობით, ნებისმიერ მსურველს შეუძლია, შეავსოს აპლიკაცია და შესაბამისი ეტაპების გავლის შემდეგ გახდეს მოხალისეთა ეროვნული სიის წევრი.
- საგანგებო სიტუაციების კლასიფიკაციის ევროკავშირის INSPIRE დირექტივის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, UNDP-ის ადგილობრივ ექსპერტებთან თანამშრომლობით შემუშავდა ბუნებრივი საგანგებო სიტუაციების კლასიფიკატორის პროექტი;
- საანაგრიშო პერიოდში შეძენილ იქნა 31 ახალი სახანძრო-სამაშველო ავტომანქანა, (რომელთაგან 26 ერთეული მოწოდებულ იქნება 2019 წლის ბოლოს, ხოლო 5 ერთეული მოწოდებულ იქნება 2020 წლის დასაწყისში);
- შეძენილია 4 000 წყვილი მეხანძრე-მაშველის სპეციალიზირებული ფეხსაცმელი და 4 000 წყვილი მეხანძრე-მაშველის ზაფხულის ყოველდღიური ფორმა;
- საანგარიშო პერიოდში, შეძენილ იქნა საზღვაო მაშველების უნიფორმა და სპეციალიზირებული ფეხსაცმელი, ასევე, წყალზე სამაშველო აღჭურვილობის ის ნაწილი, რომელიც აუცილებელი იყო საზღვაო სეზონის გასახსნელად;
- დასრულდა წინა წლებში დაწყებული და დაკონსერვებული ზუგდიდის სახანძრო-სამაშველო ობიექტის მშენებლობა;
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ბორჯომის, ჩოხატაურისა და სიღნაღის სახანძრო-სამაშველო ობიექტების მშენებლობა;
- მეხანძრე-მაშველთათვის ნორმალური სამუშაო გარემოს შექმნის მიზნით, საანგარიშო პერიოდში თბილისში 15 სახანძრო-სამაშველო ობიექტზე განხორციელდა სამზარეულოების კაპიტალური რემონტი;
- დასრულდა 10 ერთეული ზღვის სამაშველო კოშკურის მშენებლობა;
- ტყის ხანძრებთან ბრძოლისა და მათი ფართო მასშტაბებზე გავრცელების ხელის შეშლის მიზნით, საანგარიშო პერიოდში შეძენილ იქნა შვეულმფრენისათვის განკუთვნილი 4 ერთეული წყლის მზიდი კალათი;
- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა წყალდიდობების და წყალმოვარდნების შედეგების ლიკვიდაციისათვის საჭირო ჭუჭყიანი წყლის საქაჩი პომპების შესყიდვა;
- ხანძრის ლიკვიდაციის დროს სამსახურის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიზნით საანგარიშო პერიოდში შეძენილ იქნა მაიზოლირებელი შეკუმშული ჰაერის აპარატები და პანორამული ნიღბები;

- სამომავლო თანამშრომლობისა და პარტნიორობის მიზნით, საანგარიშო პერიოდში შეხვედრები გაიმართა ესტონეთის, ჩეხეთის და შვედეთის განვითრების თანამშრომლობის წარმომადგენლებთან, ასევე იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) და USAID-ის წარმომადგენლებთან;
- სამსახურის კოორდინაციით, ქ. თბილისში გერმანიის ტექნიკური დახმარების ფედერალური სამსახურის (THW) ინსტრუქტორების მიერ ჩატარდა სწავლება განსაკუთრებულ სიტუაციებზე რეაგირების მთავარი სამმართველოს ბაზაზე საერთაშორისო საძიებო სამაშველო მრჩეველთა ჯგუფის INSARAG-ის კლასიფიკაციის მისაღებად INSARAG-სათვის შერჩეული მაშველებისა და ინსტრუქტორებისთვის. სწავლების მიზანი იყო საქართველოს INSARAG-ის ჯგუფის პირველი შეფასება, რომლის საფუძველზეც გაიწერა მომავალი წლის განმავლობაში ჩასატარებელი სწავლებებისა და ტრენინგების განრიგები. სწავლების დროს მოეწყო სიმულაცია ნანგრევებში მოყოლილ ადამიანთა გამოყვანაზე;
- გერმანიის ტექნიკური დახმარების ფედერალური სამსახურის (THW) ექსპერტების მიერ განხორციელდა K9 შემფასებელი მისია, რაც გულისხმობდა საძიებო-სამაშველო ძაღლების შეფასებასა და მათი შემდგომი განვითარებისათვის შესაბამისი კონსულტაციების გაწევას;
- სახვითი ხელოვნების მუზეუმშისამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ეგიდით რიგით მეორე სამოქალაქო უსაფრთხოების სექტორის დონორთა საკოორდინაციო კონფერენცია გაიმართა. დონორთა კონფერენციის მიზანი იყო საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი, გამართული სისტემის ჩამოყალიბება საქართველოში;
- სასწავლო პროექტის ,,საგანგებო სიტუაციები და მათი მართვა" ფარგლებში, ქ. თბილისის 82-ე საჯარო სკოლაში პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის ჩატარდა სემინარი;
- სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმით განსაზღვრულ ვალდებულებათა ფარგლებში, აშშ შეიარაღებული ძალების ევროპის სარდლობა და აშშ-თან ორმხრივი თანამშრომლობის ოფისის თანაორგანიზატორობით ჩატარდა უწყებათაშორისი თანამშრომლობის განვითარებისა და საგანგებო მართვის უწყებრივი გეგმების შემუშავების საკითხებზე შეფასებითი სემინარი;
- უკრაინაში ოპერატიულ ტრენინგ ცენტრის მიერ ორგანიზებულ სამაშველო კურსზე გადამზადდა სამსახურის 10 მეხანძრე-მაშველი, ასევე ქ. ბუქარესტში, რუმინეთში, ჩატარებულ „კატასტროფების დროს დახმარების აღმოჩენა CSDP კონტექსტში“ სწავლებაში მონაწილეობა მიიღო სამსახურის ორმა მოსამსახურემ;

საანგარიშო პერიოდში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოსამსახურეებმა მონაწილეობა მიიღეს:

- ✓ ქ. ბუქარესტში (რუმინეთი) ნატო-ს კრიზისების მართვის სასწავლო კურსში;
- ✓ ქ. ჟენევაში (შვეიცარია) გაერო-ს ჰუმანიტარულ საქმეთა კოორდინაციის ოფისის (OCHA) ორგანიზებით გამართულ „ჰუმანიტარული კავშირების და პარტნიორობის კვირეულში“ (HNPW);
- ✓ ქ. ერევანში (სომხეთი) ევროკომისიის სამოქალაქო დაცვისა და ჰუმანიტარული დახმარების ოპერაციების გენერალური დირექტორატის (DG-ECHO) მიერ დაფინანსებული პროგრამა "დიპეკოს" (DIPECHO) V ფაზის შემაჯამებელ ღონისძიებაში;
- ✓ სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ორგანიზებულ ოპერატიული მართვის კურსში (გერმანია/ ნოიჰაუზენი);
- ✓ ქ. ბრიუსელში (ბელგიის სამეფო) აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების პრევენციის, მზადყოფნის და მათზე რეაგირების პროგრამის შემაჯამებელ კონფერენციაში;
- ✓ ქ. ბათუმში საერთაშორისო ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვების” და არასამთავრობო ორგანიზაციების „ბრიჯ-ინოვაცია და განვითარებისა“ და „შავი ზღვის ეკო აკადემიის“ ორგანიზებით გამართულ „მედეგობის ფორუმში“;
- ✓ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, აშშ-ის შეიარაღებული ძალების ევროპის სარდლობისა და აშშ-თან ორმხრივი თანამშრომლობის ოფისის ორგანიზებით ჩატარებულ სამუშაო შეხვედრებში - თემაზე „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემა და ეროვნული ვარჯიშების ხელშეწყობის პროგრამა“;

- ✓ სამოქალაქო თავდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICDO) აღმასრულებელი საბჭოს 52-ე სესიაში;
- ✓ უკრაინაში „სუამის“ საგანგებო სიტუაციების სამუშაო ჯგუფის მე–20 სხდომაში;
- ✓ ქ. რევენში (შვედეთი) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროს პერსონალის მართვის კურსში;
- ✓ ქ. ლისაბონში (პორტუგალია) გამართულ სრულმასშტაბიან სწავლებაში - "CASCADE'19";
- ✓ ქ. ჟენევაში (შვეიცარია) გაეროს კატასტროფის რისკის შემცირების ოფისის (UNDRR) ორგანიზებით გამართულ „კატასტროფის რისკის შემცირების გლობალური პლატფორმის“ მე-6 სესიაში;
- ✓ ქ. კიევში (უკრაინა) გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ორგანიზებით გამართულ ტრენინგში „სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მეთოდოლოგიით კატასტროფების შედეგად დამდგარი პირდაპირი ზარალის დათვლა სოფლის მეურნეობის, მეთევზეობისა და სატყეო სექტორში სენდაის სამოქმედო ჩარჩო-პროგრამის და მდგრადი განვითარების მიზნების მონიტორინგის ჩარჩოს ფარგლებში“;
- ✓ ქ. დუბლინში გამართულ ოპერატიულ მართვის კურსში;
- ✓ მალაიზიის ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამის (MTCP) და მალაიზიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით ქ. კუალა-ლუმპურში, მალაიზია, ქბრბ - პირველად მორეაგირეთა ტრენინგ პროგრამის სასწავლო კურსში;
- ✓ იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) ორგანიზებით იაპონიაში სამაშველო ტექნიკის ტრენინგ კურსში;
- ✓ ჩინეთში პოლიციელებისა და მეხანძრეების საერთაშორისო შეჯიბრში;
- ✓ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია NATO-ს სამოქალაქო საგანგებო სიტუაციების დაგეგმვის კომიტეტის ორგანიზებით ბად-ნოიენარ-არვაილერი, გერმანია ქბრბ მორეაგირეების ტრენერების საერთაშორისო კურსში;
- ✓ იაპონიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (JICA) მიერ ქ. კიტაკიუშუში, იაპონია ხანძრების მართვის და კატასტროფების რისკების შემცირების კურსში;
- ✓ კვიპროსის სამოქალაქო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გამართულ კურსში სახელწოდებით უპილოტო საფრენი აპარატები (დრონები) საგანგებო სიტუაციების მართვაში;
- ✓ ქ. ბელგრადში, სერბეთი, საძიებო-სამაშველო სემინარში;
- ✓ ვარშავაში, პოლონეთში „ადამიანური რესურსების სისტემის მენეჯმენტის გაძლიერება საჯარო სამსახურებში აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნებისათვის“ მიმდინარე კურსში;
- ✓ ქ. ლიმასოლში, კვიპროსი, შეფასების მისიის კურსში;
- ✓ ქ. ისპრა, იტალიის სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის ერთობლივი ოპერაციების ცენტრში;
- ✓ ქ. ბაქოში, აზერბაიჯანი, აშშ-ს ენერგეტიკის დეპარტამენტისა (DoE) და ბირთვული კონტრაბანდის აღმოჩენისა და გაუვრცელებლობის სამსახურის (NSDD) ორგანიზებით სამუშაო შეხვედრა ქბრბ საკითხებთან დაკავშირებით;
- ✓ ქ. ანტალიაში, თურქეთი, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) ორგანიზებით ტყის ხანძრების სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში;
- ✓ ქ. ტერნოპოლში, უკრაინა, უკრაინის საგანგებო სიტუაციების სახელმწიფო სამსახურის ტერნოპოლის ოლქის სამმართველოს ორგანიზებით სამუშაო შეხვედრაში;

- 2019 წლის განმავლობაში გაფორმდა 600-მდე ხელშეკრულება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში არსებული სერვისების გაწევის მიზნით, საიდანაც უკვე შესრულებულია 566 ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებები. აღნიშნული ხელშეკრულებები მოიცავდა ისეთი მომსახურების გაწევას როგორიცაა: სახანძრო უსაფრთხოების ზომების შემუშავება, სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე სპეციალისტის ტექნიკური კონსულტაციების გაწევა და სხვადასხვა ობიექტების სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი წინადადებების მომზადება;

- შედგა შეხვედრა NATO-ს სამეკავშირო ოფისის საქართველოს წარმომადგენლობაში. განხილულ იქნა საკითხები საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების სისტემის რეორგანიზაციის და თანამედროვე გამოწვევებთან მისი ადაპტაციის აუცილებლობის შესახებ და საერთაშორისო ექსპერტების მოწვევის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით;
- მიმდინარეობდა მუშაობა სახელმწიფო რეზერვების მატერიალურ ფასეულობათა ოპერაციების წარმოების ფარგლებში უიმედო დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების დადგენილი წესით ბალანსიდან მოხსნისა და ჩამოწერის თაობაზე;
- მიმდინარეობდა გეგმიური და საკონტროლო შემოწმებების მოსამზადებელი სამუშაოები სახელმწიფო რეზერვში რიცხული იმ მატერიალური ფასეულობებისა, რომლებიც ჩაწყობილია სხვადასხვა ორგანიზაციებსა და უწყებებში.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- განხორციელებულია 53 000-მდე ბუნებრივ, ტექნოგენურ და სხვა საგანგებო სიტუაციაზე შესაბამისი რეაგირება;
- შემოწმებულია სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტები და სამსახურის მოსამსახურეთა სპეციალურ სწავლებები, ასევე მათი ფიზიკური მომზადების დონე;
- 5,3%-ით შემცირებულია ადამიანური ფაქტორით გამოწვეული საგანგებო სიტუაციები;
- შემუშავებულია და დანერგილია სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ინციდენტების აღრიცხვის და ოპერაციების მართვის თანამედროვე სისტემები;
- ნაწილობრივ განახლებულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- გაუმჯობესებულია სამსახურის ინფრასტრუქტურა;
- ნაწილობრივ განახლებულია სახანძრო-სამაშველო ავტოპარკი;
- ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის გაწეულია ხარისხიანი მომსახურება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში;
- სახელმწიფო რეზერვში რიცხული მატერიალური ფასეულობები მოვლილი, შენახული და აღრიცხულია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით.

სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობის ფარგლებში სამინისტროს - სსიპ მომსახურების სააგენტოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები;

- ქ. ბათუმში აშენდა ახალი შენობა სანომრე სამსახურისთვის**;**
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმიდნარეობს ქ. თბილისში ქავთარაძის ქუჩაზე ახალი შენობის სამშენებლო სამუშაოები (იარაღების რეგისტრაციისათვის, სანომრე ნიშნების ბეჭდვისა და გაცემისთვის, არქივისთვის); მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები გორში ახალი საგამოცდო მოედნის და არსებული შენობის წყალამრიდის/დრენაჟის მოსაწყობად;
- დასრულდა მომსახურების სააგენტოს შენობების მიმდინარე რემონტები (ახალციხე, ახალქალაქი, საჩხერე, ქ. ქუთაისი, ქ. ფოთი, ზუგდიდი);

- მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები ქ. რუსთავში და ქ. თბილისში სველი წერტილების მოწყობის მიზნით;

- დასრულდა თელავის შენობის მიმდინარე რემონტი და მოეწყო ავტომანქანების დახურული სადგომი;

- დაწყებულია ოზურგეთში საგამოცდო მოედანთან მოსაცდელის და ავტომანქანების დახურული სადგომის მშენებლობა და ქ. ბათუმის შენობის მიმდინარე რემონტი;

- განხორციელდა კომპიუტერების და სწრაფი სკანერების შესყიდვა სარეგისტრაციო და მართვის მოწმობის თეორიული გამოცდის თანამშრომლებისათვის;

- მოეწყო ქ. რუსთავში, ქ. ქუთაისში, ქ. თბილისში და ქ. ბათუმში ფიზიკური მართვის რიგის სისტემა;

- შესყიდულია მოტოციკლის გადამყვანის მისაბმელი (ორი ერთეული);

- გაფორმდა ხელშეკრულება 8 (რვა) ერთეული კონდიციონერის შესყიდვის მიზნით;

- გაფორმდა ხელშეკრულება 6 (ექვსი) ერთეული დიზელ-გენერატორის შეძენის მიზნით;

- გაფორმდა ხელშეკრულება საგამოცდო ავტოსატრანსპორტო საშუალებების ახალი დიზაინით დაბრენდვის მიზნით;

- შესყიდულ იქნა შიდა უსაფრთხოების თანამშრომლებისთვის საჭირო 20 ერთეული რაცია;

- ნაწილობრივ შემოტანილია სახელმწიფო სანომრე ნიშნების დასამზადებელი ალუმინის ფირფიტები;

- შესრულებულია მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდის (ქალაქის პირობებში) ავტომანქანებისთვის საჭირო „GPS”-ებით აღჭურვა;

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სამინისტროსთვის საწვავის, საკვები პროდუქტებისა და უნიფორმის შესყიდვა, ასევე განხორციელდა სამინისტროს სისტემაში მოქმედი სსიპ-ის დაფინანსება;

- განხორციელდა მონაცემების კარგვის პრევენციის და სარეზერვო ასლების მართვის სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის და მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის (სერვერი და მონაცემების სარეზერვო ასლების სანახი) შეძენა და დანერგვა;

- შესყიდული იქნა ქსელური უსაფრთხოების მოწყობილობა Palo Alto Next Generation Firewall 3220-თვის მავნე პროგრამების, საეჭვო ქსელური აქტივობების მონიტორინგის/პრევენციის და სააგენტოს მომხმარებლების ინტერნეტის რესურსებზე წვდომის კონტროლის ლიცენზიები, ასევე მწარმოებლის მხარდაჭერა, რამაც უზრუნველყო ქსელური

უსაფრთხოების დონის ამაღლება და სსიპ - შსს მომსახურების სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისობაში მოყვანა;

- შესყიდული იქნა შიდა სატელეფონო სისტემის და ცხელი ხაზის პროგრამულ-ტექნიკური გადაწყვეტილების მწარმოებლის და მომწოდებლის ლოკალური მხარდაჭერა, რამაც სსიპ - შსს მომსახურების სააგენტოს მისცა შესაძლებლობა ჩაეტარებინა პროგრამული განახლების სამუშაოები, შესაბამისად უზრუნველყო სატელეფონო სისტემის და ცხელი ხაზის მუშაობის პროგრამული ხარვეზების აღმოფხვრა და სტაბილური მუშაობა;

- ტექნიკურად გაიმართა სააგენტოს ცხელ ხაზზე მოკლე ნომრით 1 272-ით საქართველოს ნებისმიერი სააბონენტო სატელეფონო ქსელიდან მოქალაქეებისათვის დარეკვის შესაძლებლობა;

- ფილიალთაშორისი მდგრადი და უწყვეტი ქსელური კავშირის უზრუნველსაყოფად შესყიდულ იქნა ქსელური გაფართოების ინტერფეისები, რომელიც დამონტაჟდა და გაიმართა შესაბამისი სერვისცენტრების ქსელურ მოწყობილობებში, ასევე სააგენტოს სერვისცენტრებში ქსელური მიერთების მომსახურების მომწოდებლების დახმარებით განხორციელდა ალტერნატიული სარეზერვო საკომუნიკაციო ხაზების შეყვანა. საანგარიშო პერიოდისთვის სარეზერვო საკომუნიკაციო ხაზები შეყვანილია ქ. თბილისის, თელავის, გორის, ახალციხის, ახალქალაქის, ქ. ქუთაისის, ზუგდიდის, ქ. ბათუმის, ამბროლაურის და ოზურგეთის სერვისცენტრებში;

- განხორციელდა სამინისტროს კომპიუტერულ ქსელთან ალტერნატიული ქსელური მიერთების გზით მდგრად ქსელურ ტოპოლოგიაზე გადაყვანა, რამაც უზრუნველყო სამინისტროს ელექტრონულ სერვისებზე წვდომის უწყვეტობის მაღალი ხარისხი, შესაბამისად გაიზარდა სააგენტოს მუშაობის ბიზნეს უწყვეტობა;

- განხორციელდა სააგენტოს პერსონალური კომპიუტერების პროფილაქტიკური მომსახურების (პროგრამული განახლება, ლოკალური დისკის შემოწმება, დროებითი ტექნიკური ფაილების გასუფთავება) ავტომატიზაცია, რამაც უზრუნველყო მხარდაჭერაზე მოთხოვნის შემცირება და უწყვეტი მუშაობის ხარისხის ამაღლება;

- სააგენტოს ყველა ფილიალის მასშტაბით მოხდა თეორიული საგამოცდო კომპიუტერების პროგრამული განახლება და პროფილაქტიკური მომსახურების ავტომატიზაცია, რამაც უზრუნველყო უწყვეტი საგამოცდო პროცესი;

- მოხდა IT ინციდენტების მართვის სისტემის დანერგვა, რომელიც ითვალისწინებს ინციდენტების მართვის ერთიანი სივრცის არსებობას, IT ინციდენტების მხარდაჭერის პროცესის სტანდარტიზაციას და სტრუქტურიზებას;

- განხორციელდა IT ინციდენტების მართვის სისტემის შეტყობინებების ფუნქციონალის ინტეგრაცია SMS სისტემასთან, რაც უზრუნველყოფს სისტემაში დაფიქსირებულ ინციდენტებისა და მოთხოვნებზე მხარდაჭერის სამსახურის თანამშრომლების დროულ ინფორმირებას, რამაც შეამცირა მოთხოვნებზე რეაგირების დრო;

- შესრულდა სააგენტოს მთავარი ქსელური კვანძის არქიტექტურის ცვლილების პროექტის პირველი ეტაპი, რომელიც უზრუნველყოფს ქსელის მუშაობის მდგრადობის, წვდომისა და მართვის ამაღლებას. განხორციელდა ფილიალების და სამინისტროსთვის განკუთვნილი ქსელური მიერთებების და მოწყობილობების ინტერნეტის ქსელისგან გამიჯვნა;

- სააგენტოს მთავარი ქსელური კვანძის არქიტექტურის ცვლილების პროექტის მეორე ეტაპისთვის მოხდა ახალი ქსელური დიზაინის შემუშავება და მომზადდა სატენდერო ტექნიკური დავალება შესაბამისი სამუშაოებისა და დამატებითი ტექნიკური აღჭურვილობის შესაძენად;

- მთავარ დატაცენტრში განხორციელდა დამატებითი საკომუნიკაციო კარადების მონტაჟი, რამაც მოგვცა შესაძლებლობა ფიზიკურად ერთმანეთისგან გაგვემიჯნა ქსელური და სერვერული მოწყობილობები, შედეგად მიღწეულ იქნა მოწყობილობების სითბური გამოყოფის გადანაწილება, რამაც გააუმჯობესა მოწყობილობების გაგრილება. შედეგად შეამცირა მოწყობილობების გათიშვის ან მწყობრიდან გამოსვლის რისკი;

- განხორციელდა რუსთავის სერვისცენტრის ტერიტორიაზე განთავსებულ შენობა-ნაგებობის ერთმანეთთან ქსელური მიერთების ტოპოლოგიის ოპტიმიზაცია, რისთვისაც მოხდა ოპტიკური მიერთებების დამატება და ცვლილება;

- სააგენტოს არსებული Oracle-ის მონაცემთა ბაზისთვის განხორციელდა მეორე სარეზერვო (STANDBY) ბაზის აწყობა “Real Time” რეპლიკაციით, რაც კრიტიკული შემთხვევის დროს შეამცირებს მონაცემების კარგვას (Recovery Point Objective);

- გაიმართა სატესტო და დეველოპმენტ გარემოსთვის ინფრასტრუქტურა, რამაც მოგვცა საშუალება გაგვემიჯნა რეალურ გარემოსგან დეველოპმენტის და ტესტირების პროცესი;

- მომსახურების სააგენტოს რუსთავის A ბლოკის რემონტთან დაკავშირებით და საექსპლუატაციო გარემო პირობების გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა დეველოპმენტისა და სატესტო სერვერული ინფრასტრუქტურის ძირითადი დატაცენტრის ლოკაციაზე მიგრაცია;

- სააგენტოს ვებ აპლიკაციების და ელექტრონული სერვისების მუშაობის მდგრადობის ამაღლების მიზნით, მიმდინარეობს კლასტერიზებული ვებ სერვერების ინფრასტრუქტურაში მიგრაცია, რაც უზრუნველყოფს სააგენტოს მომსახურების ბიზნეს უწყვეტობის ხარისხის ამაღლებას;

- განხორციელდა სააგენტოს კვალიფიციური ელექტრონული შტამპის მომსახურე სისტემის ფიზიკური სერვერიდან ვირტუალურ სერვერულ გარემოში მიგრაცია, რამაც უზრუნველყო სერვისის მუშაობის მდგრადობის ამაღლება და მნიშვნელოვნად შეამცირა მწყობრიდან გამოსვლის რისკი;

- განხორციელდა 8 მუნიციპალიტეტში შემუშავებული საგამოცდო მარშრუტების როგორც პროგრამულად, ასევე ფიზიკურად კორექტირება/სრულყოფა ევროკავშირის დირექტივის მოთხოვნების შესაბამისად (სულ 44 საგამოცდო მარშრუტი);

- დაიწყო და გრძელდება შეძენილი საგამოცდო ავტოსატრანსპორტო საშუალებების (მსუბუქი, სატვირთო, სამგზავრო და მოტოციკლი) პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირება ქალაქის პირობებში, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური ან/და საგამოცდო პროგრამის ხარვეზით გამოწვეული გაუმართაობა;

- ადაპტირებულ იქნა 4 ავტოსატრანსპორტო საშუალება შშმ პირებისათვის, როგორც შიდა საგამოცდო მოედნისთვის, ასევე ქალაქის რეალურ პირობებში გამოცდის მისაღებად;

- საგამოცდო პროცესში უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით, შეძენილ იქნა საგამოცდო მოტოციკლებისათვის საერთაშორისო სტანდარტის მქონე დამცავი საშუალებები;

- განხორციელდა მართვის მოწმობის მისაღები თეორიული გამოცდის ონლაინ რეგისტრაციის საინფორმაციო კამპანია. კამპანიის ფარგლებში კომუნიკაციის მიზნით გამოყენებული იყო მედია კომუნიკაცია, პირდაპირი კომუნიკაცია (სმს შეტყობინება), განხორციელდა სხვადასხვა აქტივობა სოციალურ ქსელში. კამპანიის ფარგლებში დამზადდა გრაფიკული ვიდეორგოლი, ასევე მომსახურების სააგენტოს ცხელი ხაზისთვის დამზადდა საინფორმაციო აუდიო რგოლი, რომელიც განთავსდა სატელეფონო მომსახურების ცენტრის ხმოვან შეტყობინებაში;

- განხორციელდა საინფორმაციო კამპანია 2006 წლის 1 აპრილიდან 2014 წლის 1 მარტამდე საქართველოში გაცემულ „C“, „CE“, „D“, „DE“, „C1“, „C1E“, „D1“ და„D1E“ კატეგორიების და ქვეკატეგორიების მართვის მოწმობების ვადებთან დაკავშირებით. საკომუნიკაციო მიმართულებად განისაზღვრა საინფორმაციო მიმართულება, ყველა ძირითადი პლატფორმის გამოყენებით. მომსახურების სააგენტომ პროცედურული სიახლეების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით გამოიყენა თითქმის ყველა საკომუნიკაციო არხი: სმს შეტყობინება, FB აქტივობა, სატელევიზიო ეთერი, რადიო ეთერი. დამზადდა საინფორმაციო ვიდეორგოლი, რომელსაც მიენიჭა სოციალური სტატუსი და მოხდა მისი გაშვება საეთერო ბადეში;

- დაიგეგმა საინფორმაციო კამპანია ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ. კამპანიაში გაწერილია, როგორც მართვის მოწმობის გარეთ გატანის პროცესის საინფორმაციო საკომუნიკაციო გეგმა, ასევე მოპედების რეგისტრაციის და AM/A2 კატეგორიის მართვის მოწმობის კატეგორიებში დამატების საინფორმაციო საკომუნიკაციო სტრატეგია. გაწერილ გეგმაში სრულადაა გამოყენებული ყველა საკომუნიკაციო არხი და მოიცავს ორ თვიან აქტიურ საკომუნიკაციო პერიოდს;

- თბილისში გაიხსნა მომსახურების ახალი სივრცე. ასევე, მოხდა აღნიშნული სიახლის გავრცელება და მოქალაქეებისთვის ინფორმაციის მიწოდება;

- ხორციელდება ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური ინსპექტირების პროცესის ადმინისტრირების მხარდაჭერა, რის ფარგლებშიც განხორციელდა ჭკვიანი კამერებით დაჯარიმების პროცესისთვის შესაბამისი ელექტრონული ინფორმაციის გაცვლის მექანიზმის აწყობა;

- განხორციელდა სააგენტოში ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის თეორიულ გამოცდაზე ვიზიტის ელექტრონული დაჯავშნის სისტემის დანერგვა, რის ფარგლებში მოქალაქეს აქვს შესაძლებლობა წინასწარ დაგეგმოს გამოცდაზე გამოსვლის დრო დისტანციურად, როგორც სწრაფი გადახდის აპარატებიდან და ვებპორტალიდან, ასევე ადგილზე სააგენტოს სერვისცენტრებში;

- მიმდინარეობს მართვის მოწმობის მისაღები პრაქტიკული გამოცდის მეორე კომპონენტის (ქალაქის რეალურ საგზაო პირობებში) დანერგვის პროექტის ფარგლებში შემდეგი პროგრამული სამუშაოები: ელექტრონული დაჯავშნის სისტემაში შესაბამისი ფუნქციონალის დამატება, სწრაფი გადახდების აპარატებით გადახდის სერვისის მომწოდებლების (საქართველოს ბანკი, ლიბერთი ბანკი, TBC Pay) სისტემებთან ინტეგრაცია და საგამოცდო პროცესში ელექტრონული რიგის მართვის სისტემის შექმნისა და საგამოცდო ელექტრონულ სისტემასთან საინტეგრაციო სამუშაოები;

- სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მიღებასთან დაკავშირებული დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, მიმდინარეობს თეორიული გამოცდის ელექტრონული ჯავშნების სისტემაში პროგრამული ცვლილებების, ასევე ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროებთან პროგრამულ-საინტეგრაციო სამუშაოები;

- მიმდინარეობს სააგენტოს არსებული ბიზნეს სისტემების მხარდაჭერა, რის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამული სამუშაოები, როგორც პროგრამული შეცდომების გამოსწორების, ასევე ფუნქციონალის დახვეწის მიზნით.

- დაიწყო და მიმდინარეობს მომსახურების სააგენტოს ცნობების გაცემისა და აპოსტილი/ლეგალიზაციით დამოწმების პროცესის ოპტიმიზაცია და შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფაში ცვლილებების დაგეგმვა;

- დაიწყო და დასრულდა მომსახურების სააგენტოს ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობებთან დაკავშირებული შეზღუდვების პროცესის ოპტიმიზაცია და შესაბამისი პროგრამული ცვლილებების დანერგვა;

- დაიწყო სერიული სანომრე ნიშნების შეკვეთის პროცესის დახვეწის სამუშაოები, ვებ აპლიკაციაში.

- დაიწყო ელექტრონული ორგანიზაციის კალენდარის სისტემასთან დაკავშირებული დაგეგმვისა და დეველოპმენტის სამუშაოები. ელექტრონული ორგანიზაციის კალენდრის მიზანია, უზრუნველყოს მომსახურების სააგენტოს სისტემებში სამუშაო, არასამუშაო და დასვენების დღეების განსაზღვრა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- გაუმჯობესებული, მოქნილი და მეტად ხელმისაწვდომი მომსახურება;
- გაზრდილი და განახლებული საგამოცდო ავროპარკი;
- სააგენტოს ინფრასტრუქტურა რეაბილიტირებულია.

საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ეფექტური სისტემის ფუნქციონირების ფარგლებში სამინისტროს სსიპ – „112“-ს მიერ განხორციელებული ღონისძიებები:

- მიღებული იქნა საგანგებო სიტუაციების და გადაუდებელი აუცილებლობის შესახებ შეტყობინებები (4 754 794 ზარი), რომლებიც დამუშავებულ იქნა შესაბამისი მომიჯნავე სამსახურების მიერ და გაწეულ იქნა კოორდინირებული მუშაობა „112“ -ის კომპეტენციის ფარგლებში;
- ამოქმედდა „112“-ის მობილური აპლიკაცია, განხორციელდა მობილური აპლიკაციის სრული ადაპტაცია მხედველობის არმქონე პირებისთვის, დაემატა ოჯახში ძალადობის ჩანართი, დაემატა ახალი ჩანართი „თამბაქოს კონტროლი“;
- 2019 წლის ბოლოს დასრულდა საქართველოს წითელ ჯვართან ერთად განხორციელებული პროექტი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებისთვის პერიოდულად იმართებოდა პირველი გადაუდებელი დახმარების ტრენინგები;
- მომზადდა საგზაო უსაფრთხოების მიმართულებით ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმოების შესახებ კვლევა და საკომუნიკაციო სტრატეგია;
- დაიწყო კომუნიკაცია Apple-თან AML სერვისის დასანერგად iOS მომხმარებლებისთვის, აგრეთვე, Google-თან AML სერვისის დასანერგად გასაფორმებელი ხელშეკრულების განხილვა და მომზადება; საანაგრიშო პერიოდში 112-ში იმყოფებოდა კომპანია Apple-ის წარმომადგენელი, რომელმაც განახორციელა არსებული სისტემის ტესტირება. ოფიციალურად AML სერვისი iOS მოწყობილობებისთვის საქართველოში ამუშავდება 2020 წლისთვის;
- 112-ის პროგრამაში (ERC Phone) განხორციელდა უცხოენოვანი ზარების გადამისამართების ახალი ფუნქციონალის დამატება, რაც უფრო მოქნილს გახდის ცენტრის მუშაობას;
- საანგარიშო პერიოდში სამინისტროს სსიპ - „112“ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის 16 დღიან კამპანიას შეუერთდა. კამპანიის ფარგლებში, ქ. რუსთავის საჯარო სკოლების მოსწავლეებს „112“-ის ოპერატორებმა წარუდგინეს პრეზენტაცია და მიაწოდეს ინფორმაცია, თუ რას ნიშნავს გადაუდებელი შემთხვევა, როდის უნდა დაუკავშირდნენ 112-ს და როგორ უნდა ითანამშრომლონ ოპერატორთან. ასევე ისაუბრეს თანამედროვე ტექნოლოგიებზე აგებულ სერვისებზეც;

- გადამზადდა/მომზადდა 896 მსმენელი. მათ შორის სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის - 6 თანამშრომელი; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს - 43 თანამშრომელი; საბაზისო ტრენინგი - 58 მონაწილე; ფინანსთა სამინისტროს - 2 თანამშრომელი; შსს-ს ერთიანი მომსახურების ცენტრის - 36 თანამშრომელი; 112-ის ქოლ ცენტრის 635 თანამშრომელი; საქართველოს რკინიგზის მგზავრთა ინფორმაციული მომსახურების სამსახურის -28 თანამშრომელი; სამინისტროს სსიპ - 112-ის სასწავლო ცენტრის 5 თანამშრომელი; სამინისტროს სსიპ - შსს მომსახურების სააგენტოს 2 თანამშრომელი; სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2 თანამშრომელი; სამინისტროს სსიპ - 112-ის 64 თანამშრომელი; საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის 15 თანამშრომელი;

- გაწეულ იქნა ევაკუატორით მომსახურების სერვისი, როგორც საპატრულო პოლიციისთვის, ასევე, სხვადასხვა იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის, დადებული ხელშეკრულების შესაბამისად;

- სსიპ - „112“-მა 20-მდე ქვეყნის დელეგაციას უმასპინძლა;

- სსიპ -„112“-მა მონაწილეობა მიიღო ორ დონორთა საკოორდინაციო შეხვედრაში;

- ოპერატიული სამმართველოს, თბილისის ცენტრის დარბაზში მოხდა გათბობა-გაგრილების სისტემის კაპიტალური რეაბილიტაცია. თბილისის ცენტრის ზარის მიმღებ დარბაზში ოპერატორების სამუშაო პირობების გაუმჯობესების მიზნით შეიცვალა საოფისე სავარძლები.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- სსიპ „112“ -ის გაუმჯობესებული მომსახურება;

- შემცირებული არამიზნობრივი ზარები;
- ინციდენტის ტიპებისა და საქმის პრიორიტეტების განმსაზღვრელი პროგრამა ProQA-ს სამუშაო რეჟიმში ჩაშვება.

განათლების, მეცნიერებისა და პროფესიული მომზადების ფარგლებში სამინისტროს სსიპ - აკადემიის მიერ განხორციელებული ღონისძიებები:

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სპეციალური პროფესიული პროგრამების ბაზებზე სამინისტროში მისაღები და მოქმედი თანამშრომლების მომზადება/გადამზადება; განხორციელდა საშუალო რგოლის კვალიფიციური და პროფესიონალი საპოლიციო კადრების მომზადება და გადამზადება; განხორციელდა სამინისტროს არქივში განთავსებული მასალების დაცვა, როგორც მომავალი

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის, ისე პიროვნებების იდენტიფიცირებისა და მნიშვნელოვანი მოლენების აღდგენისთვის;

- განხორციელდა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია;
- განახლდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- შემუშავდა და განახლდა 34 პროგრამა, კურსი და ტრენინგი;
- სამინისტროსა და სახელწმიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა გაიარეს შესაბამისი გადამზადება/მომზადების კურსები და პროგრამები;
- ტესტირება გაიარა 6 624 პირმა;
- მომზადება/გადამზაების კურსზე ჩაირიცხა 5 693 მსმენელი;
- განახლდა საარქივო მასალების ელექტრონული ბაზა და საძიებო სისტემა;
- მოხდა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, განახლდა მატერიალური-ტექნიკური ბაზა.
-

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფის ფარგლებში სსიპ - სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის მიერ გატარებული ღონისძიებები:

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაჭრილი ან/და დაზიანებული მოსამსახურეების მკურნალობა და მათი ჯანმრთელობის რეაბილიტაციისთვის საჭირო ღონისძიებები, აგრეთვე სამინისტროს მოსამსახურეთა, თადარიგში დათხოვნილ პირთა მათი ოჯახების წევრთა და სამინისტროს სასწავლო დაწესებულებების მსმენელთა სამედიცინო მომსახურება;
- ავადობისა და შრომისუუნარობის შემცირების მიზნით განხორციელდა ბენეფიციართა (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა) დისპანსერიზაცია, სამკურნალწამლო საშუალებებით უზრუნველყოფა, სტაციონალური მკურნალობა, ავადობის მიზეზების შესწავლა, დაჭრილთა სამედიცინო რეაბილიტაცია, პენსიონერთა და უნარშეზღუდულთა სამედიცინო შემოწმება;
- საანგარიშო პერიოდში დადგენილი წესით ჩატარებულ იქნა სამხედრო-საექიმო კომისიები.

მიღწეული საბოლოო შედეგი

- ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან თანამედროვე და შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო საშუალებებით.